სამუშაო ვიზიტი თურქეთში: თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები ესქიშეჰირის უნივერსიტეტთან

2026 წლის 2 ივნისს, „უსმა/USMA“-ს თავმჯდომარე, მეცნიერებათა დოქტორი **ბესიკ ობოლაძე** თურქეთში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე წამყვან - ესქიშეჰირის ტექნიკურ უნივერსიტეტს ეწვია, სადაც უნივერსიტეტის რექტორთან prof.Dr. Adnan Ozgan-თან ოფიციალური შეხვედრა გამართა.

მხარეებმა დეტალურად განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები, ერთობლივი პროექტების განხორციელებისა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობები.

აღნიშნული შეხვედრა მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს საერთაშორისო კავშირების გაძლიერებისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.

ვიზიტს ასევე ესწრებოდნენ ESTÜ-ს რექტორის მოადგილეები: პროფესორი დოქტორი ონურ ქაია და პროფესორი დოქტორი ჰანიფე აფაიდინ ოზჯანი. გარდა ამისა, შეხვედრაში მონაწილეობდნენ ESTÜ-ს სპორტულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი დოქტორი ჰაირი ერთანი, დეკანის მოადგილე, დოცენტი დოქტორი არიფ იუჯე და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელი, ლექტორი უმიუ გულსუმ ქარამან ბულუთი.